საქართველოს მთავრობის

დადგენილება №527

2020 წლის 21 აგვისტო

ქ. თბილისი

„იარაღის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და რეკომენდაციის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 ივლისის №431 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იარაღის შესახებ“ და „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ტექნიკურ საკითხთა მუდმივმოქმედი კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებისა და რეკომენდაციის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 ივლისის №431 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 13/07/2020, 140120000.10.003.022146) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის:

1. პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 და მე-18 მუხლებით, აგრეთვე „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 9^1 მუხლით გათვალისწინებული კომისიის რეკომენდაციის მისაღებად, ლიცენზიის მაძიებელი (იურიდიული პირი ან ინდივიდუალური მეწარმე) კომისიას წარუდგენს:

ა) წერილობით განცხადებას;

ბ) მონაცემებს იურიდიული პირის ან ინდივიდუალური მეწარმის მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის შესახებ;

გ) იურიდიული პირისათვის – ყველა დამფუძნებლის (თუ დამფუძნებელი ფიზიკური პირია), ხელმძღვანელის, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, შტატით გათვალისწინებული და ხელშეკრულებით მიწვეული თანამშრომლების სიას (პირადობის მოწმობის ასლის, თანამდებობისა და საცხოვრებელი ადგილის მითითებით);

დ) იმ შენობა-ნაგებობების ნუსხას (მისამართების მითითებით), რომლებშიც უნდა განხორციელდეს საქმიანობა;

ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში მითითებული შენობა-ნაგებობის:

ე.ა) იჯარის ხელშეკრულებას, თუ ლიცენზიის მაძიებელს იჯარით აქვს აღებული ეს შენობა-ნაგებობა;

ე.ბ) ამონაწერს საჯარო რეესტრიდან;

ვ) ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრულ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.“.

2. მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნეს.

3. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლით გათვალისწინებული კომისიის რეკომენდაციის მისაღებად, ნებართვის მაძიებელი (ტრანზიტის შემთხვევაში შესაძლებელია, იყოს გადამზიდველი) კომისიას წარუდგენს:

ა) წერილობით განცხადებას;

ბ) სანებართვო ქმედების შესაბამის ხელშეკრულებას ან განზრახულობათა ოქმს;

გ) იმ ქვეყნის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემულ საბოლოო მომხმარებლის სერტიფიკატს, სადაც ხორციელდება იმპორტი (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნებართვის მაძიებელი ითხოვს იმპორტის ნებართვას);

დ) ტრანზიტის შემთხვევაში, გადამზიდველისათვის გადაზიდვის უფლებამოსილების მინიჭების დამადასტურებელ დოკუმენტაციას;

ე) ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრულ საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.“.

4. მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს.
მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**